ნოემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

„თბილისობა 2019“ და შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან კიოლნში

3 ნოემბერს, ქალაქ მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოსა და ქ. კიოლნში მოღვაწე ქართველი ქორეოგრაფის, მოცეკვავისა და მსახიობის, თამარ ბურდულის ინიციატივით, ქ. კიოლნში აღინიშნა „თბილისობის“ დღესასწაული.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს გენერალური კონსული ქალაქ მაინის ფრანკფურტში, ლევან დიასამიძე და საქართველოს კონსული, თამთა კინწურაშვილი, გერმანიაში მცხოვრები ქართველები და საქართველოს მეგობრები გერმანიიდან.

„თბილისობა 2019“, ქ. მაინის ფრანკფურტში ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა საქართველოს ჰიმნით გახსნეს, რის შემდეგაც მოცეკვავეთა ჯგუფმა - “ოქროს საწმისი” ქართული ცეკვები შეასრულა; ქ. დიუსელდორფის მგალობელთა გუნდმა, ოპერის მომღერალთან, კახა ვერძეულთან და ღონისძიების სტუმრებთან ერთად, ყველასთვის ცნობილი სიმღერა - ,,თბილისო" შეასრულეს. ღონისძიება დასრულდა ჯგუფი ,,ჩვენებურების" კონცერტით.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს გენერალურმა კონსულმა ქალაქ მაინის ფრანკფურტში, ლევან დიასამიძემ და საქართველოს კონსულმა, თამთა კინწურაშვილმა გერმანიის ქალაქ კიოლნში გამართეს შეხვედრა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა და სტუდენტური გაერთიანებების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან. კერძოდ, შეხვედრას ესწრებოდნენ: ქ. ჰამბურგის ცეკვის სტუდია „იბერია“-ს, შტუტგარტის „ხელოვნებისა და მუსიკის საზოგადოებ“-ის, ქ. ვიტენში არსებული ქართულ-გერმანული კულტურული ორგანიზაცია „კოლხი“-ის, ქ. კიოლნის სტუდენტური გაერთიანება „აისი“-ის, ქ.კიოლნში არსებული „გერმანულ ქართული კულტურული შეხვედრების საზოგადოებ“-ის, ქ. დიუსელდორფის წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის სამრევლოს და მასთან არსებული საკვირაო სკოლის, ქ. ბილეფელდის „გერმანულ-ქართული საზოგადოებ“-ის, ქ. მაინის ფრანკფურტში რეგისტრირებული „გეორგიკა“-ს და მასთან არსებული საკვირაო სკოლის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე საქ. გენერალურმა კონსულმა ისაუბრა იმ ძირითად მიმართულებებზე და პროგრამებზე, რომელსაც სახელმწიფო დიასპორის კუთხით ახორციელებს. დიასპორულ ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, გადაწყდა სათათბირო საბჭოს შექმნა, რომელსაც ორგანიზაციებს შორის მაკოორდინირებელი და ინფორმაციის გაცვლის ფუნქცია ექნება. ასევე, დაწესდა წელიწადში ორჯერ ქართული დაისპორის საზეიმო შეკრების ტრადიცია, რომელიც მონაცვლეობით გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართება.

თბილისობა ქალაქ ათენში

3 ნოემბერს, ქ. ათენში, ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის მიერ, ქალაქის ცენტრში, ომონიაზე, გაიმართა თბილისობის დღესასწაული.

ღონისძიებაზე ასოციაციასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა შმაგი ჯიმშერაშვილის ხელმძღვანელობით, დამსწრე საზოგადოებას ქართული ეროვნული ცეკვები წარუდგინა. ღონისძიებას დაესწრო საქათველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებული საბერძნეთის რესპუბლიკაში, ლიკა ჯანელიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას თბილისობის დღესასწაული მიულოცა და წარმატებები უსურვა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი შვედეთში ქართულ დიასპორას შეხვდა

3 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი, შვედეთის სამეფოში ვიზიტის ფარგლებში, შვედეთში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. მინისტრმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა სამინისტროს საქმიანობაში დიასპორასთან ურთიერთობის პრიორიტეტულობას და აღნიშნა, რომ სახელმწიფო აქტიურად მუშაობს საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერის მიმართულებით.

დავით ზალკალიანის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან ყველა საელჩოს დავალებული აქვს დიასპორის წარმომადგენლებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი დახმარება, აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან დიასპორის კომუნიკაციისას არ უნდა არსებობდეს ბარიერები, რომ იგი მუდმივად საქმის კურსშია დიასპორის საჭიროებებთან დაკავშირებით და იგი პირად კონტროლზე აქვს აყვანილი. როგორც მინისტრმა აღნიშნა, სახელმწიფო მოწადინებულია მოაგვაროს ყველა ის საკითხი, რაც ქართულ დიასპორას აწუხებს.

შეხვედრაზე დავით ზალკალიანმა მიმოიხილა დიასპორასთან კავშირების განმტკიცების მიმართულებით უკვე განხორციელებული პროექტები და ინიციატივები, კერძოდ საკვირაო სკოლებისა და დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი - საგრანტო პროგრამა, ასევე ერთიანი უნივერსალური საკომუნიკაციო პლატფორმის - ვებპორტალის (www.gda.ge) შექმნა. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ასევე, ისაუბრა საქართველოში მიმდინარე იმ პროექტებზე, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას. როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრიორიტეტი სწორედ ინკლუზიური ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაა. ქვეყნის განვითარების გზაზე მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა სტაბილურობის და მშვიდობის მნიშვნელობას და ისაუბრა იმ ნაბიჯებზე რასაც საგარეო საქმეთა სამინისტრო პარტნიორებთან ერთად დგამს ამ მიმართულებით. დავით ზალკალიანმა დიასპორის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდა შვედეთში მისი ვიზიტის, გამართული შეხვედრების და ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგის შესახებ.

მარიამ ჯაშის შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან და პედაგოგებთან პრაღაში

3-4 ნოემბერს, ჩეხეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით მყოფმა, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა გამართა შეხვედრა ჩეხეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან და პედაგოგებთან - კარლის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან, მაია დარჩიასთან და ლელა ჟორჟოლიანთნ.

შეხვედრაზე მარიამ ჯაშმა განიხილა კარლის უნივერსიტეტში ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრის კაბინეტის დაფუძნების საკითხი და ასევე, საელჩოს ინიციატივა პრაღაში ორი ქვეყნის მეცნიერთა ერთობლივი კონფერენციის ჩატარების შესახებ, რაც მეცნიერთა ქსელის ჩამოყალიბების და მეცნიერების გარგში ორმხრივი თანამშრომლობის დამყარების კარგ შესაძლებლობას შექმნის. ქართველ სტუდენტებთან შეხვედრა მიმდინარეობდა დისკუსიის ფორმატში და განხილულ იქნა განათლების სისტემაში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები.

ანსამბლ „იბერი“-ს კონცერტი ლიუბლიანაში

4 ნოემბერს, ქალაქ ლიუბლიანის საკონცერტო დარბაზში „ცანკარევ დომ“ ჩატარდა ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების პოლიფონიური ანსამბლის - „იბერი“ კონცერტი. კონცერტს დაესწრნენ სლოვენიის მთავრობისა და პარლამენტის წევრები, სამოქალაქო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მათ შორის, სლოვენიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ოტო ლუთარი, ბიზნესმენები, ასევე, საქართველოს საპატიო კონსულობის პირველი კანდიდატი, ანდრეი მალგაი, მედია, დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები, ქართული სიმღერების სლოვენიური ქალთა ანსამბლი „კვალი“ და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, მათ შორის, ცნობილი კალათბურთელი და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ვლადიმერ ბოისა ვაჟიშვილთან ერთად.

კონცერტის მსვლელობისას იმპროვიზებულად დარბაზიდან სცენაზე ასულმა ქართული დიასპორის წევრმა, ლანა აბრამიშვილმა (იყი უკვე 15 წელია ცხოვრობს ჩეხეთში) შეასრულა ცეკვა „ქართული“ ანსამბლის წევრთან.

კონცერტის შემდგომ გამართულ ოფიციალური მიღებაზე, ანსამბლმა „იბერი“ და ქართული სიმღერების სლოვენიურმა ქალთა ანსამბლმა „კვალი“ იმპროვიზირებულად, ერთობლივად შეასრულეს რამდენიმე ქართული სიმღერა. ღონისძიებაზე, საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა ირაკლი კოპლატაძემ და აღნიშნა, რომ ამ დღეს ფაქტიურად საფუძველი ჩაეყარა სლოვენიაში „საქართველოს მეგობრების“ ჯგუფის შექმნას. აღსანიშნავია, რომ კონცერტი გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით და ფართოდ გაშუქდა „ცანკარევ დომ“-ის მიერ.

ქ. ლონდონში ქართული ღვინის ბარი გაიხსნა

4 ნოემბერს, ქართველი ბიზნესმენების ძალისხმევით, ქ. ლონდონში, გაიხსნა ქართული ღვინის ბარი - ,,Merton Café & Wine Bar”. ღვინის ბარი - ,,Merton Café & Wine Bar”-ში წარმოდგენილი არის არაერთი მაღალი ხარისხის ქართული ღვინო და ქართული სამზარეულოს სხვადასხვა ელემენტები. ქართული ღვინის ბარი მდებარეობს ქ. ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში. ქართული ღვინის ბარის გახსნას, დაესწრო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გაერთიანებულ სამეფოში, თამარ ბერუჩაშვილი, ასევე საელჩოს სხვა წარმომადგენლები. თამარ ბერუჩაშვილი მიესალმა ქართული ღვინის ბარის გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს და თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს ბარი იქნება კიდევ ერთი ადგილი ლონდონში, რომელიც მნიშვნელოვან პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ ღვინოს, ქართული მეღვინეობის ისტორიასა და ზოგადად საქართველოს.

ელჩმა, თამარ ბერუჩაშვილმა წარმატებები უსურვა ქართველ ბიზნესმენებს და საქართველოს საელჩოს სახელით მადლობა გადაუხადა მათ ქართული ღვინის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

ტარიელ მაისურაძის კონცერტი მინსკში

5 ნოემბერს, ქ. მინსკში, საკონცერტო დარბაზში - „მინსკი“, ბელარუსის რესპუბლიკაში მოღვაწე ქართველი მომღერლის, ტარიელ მაისურაძის სოლო კონცერტი გაიმართა.
კონცერტზე ქართველ მომღერალთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ბელარუსის დამსახურებულმა შემსრულებლებმა ირინა დოროფეევამ, ბელარუსის სახელმწიფო ანსამბლმა „პესნიარი“, მოწვეულმა მომღერლებმა უკრაინიდან და რუსეთიდან; ასევე ქ. მინსკში საზოგადოებრივი გაერთიანება - ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მამულ“-თან არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა „მზიანი საქართველო“ და ქართული საცეკვაო სკოლა „ლელო“-ს ხელმძღვანელმა და ქორეოგრაფმა, გივი კბილაშვილმა.
კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვალერი კვარაცხელია, კონსული დავით კურტანიძე, ქართული დიასპორის და ასევე, ბელარუსის კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომდგენლები.

ანსამბლ “იბერის” კონცერტი ვენაში

5 ნოემბერს, Wiener Volksliedwerk-ის ორგანიზებით, ვენის ერთ-ერთ უძველეს საკონცერტო დარბაზ Bockkeller-ში გაიმართა ქართული ფოლკლორული ანსამბლ „იბერის“ კონცერტი. რომელზეც შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები სხვადასხვა ტრადიციული საკრავების გამოყენებით. ღონისძიებას ესწრებოდნენ ვენის კულტურული და საგანმანათლებლო წრეების წარმომადგენლები, აგრეთვე, ავსტრიაში საქართველოს საელჩოსა და ქართული დიასპორის წევრები.

ქართული ფოლკლორული ანსამბლი 2012 წელს ჩამოყალიბდა და მას ქართველი მუსიკოსი, ბიძინა მურღულია ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ „იბერმა“ ხალხურ ანსამბლ „ირიაოსთან“ ერთად, 2015 წელს გრანდიოზული კონცერტი გამართა ვენაში, თუმცა ახალი შემადგენლობით იგი 5 ნოემბერს პირველად წარსდგა ავსტრიელი მსმენელის წინაშე და დიდი მოწონება დაიმსახურა.

გამოფენა „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ ვარშავის საჯარო ბიბლიოთეკაში

5 ნოემბერს, პოლონეთის სახელმწიფო და საქართველოს ეროვნული არქივების თანამშრომლობის ფარგლებში და პოლონეთში საქართველოს საელჩოს მონაწილეობით, ვარშავის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოფენა „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. გამოფენის ფარგლებში შედგა ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელის, დოქტორ დავით ყოლბაიას ლექცია.
ღონისძიებაზე სტუმრებს სიტყვით მიმართეს: ვარშავის ბიბლიოთეკის დირექტორმა, მიჰალ სტრეკმა, პოლონეთის სახელმწიფო არქივების გენერალურმა დირექტორმა, პაველ პიეტრჟიკმა, საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორმა, თეონა იაშვილმა და პოლონეთში საქართველოს ელჩმა, ილია დარჩიაშვილმა.

იაპონიაში მოღვაწე ქართველ ხელოვანს გიორგი ბაბუაძეს ამომავალი მზის ვერცხლის სხივების ორდენი გადაეცა

5 ნოემბერს, იაპონიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანი გიორგი ბაბუაძე, კანსაის ფილარმონიული ორკესტრის კონცერტმაისტერი და დირიჟორი, დასახელდა ამომავალი მზის ვერცხლის სხივების ორდენის მიმღებ პერსონად. გიორგი ბაბუაძეს, საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა გაღრმავებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

საქართველოში წარმატებული პედაგოგიური და მუსიკალური საქმიანობის შემდეგ, გიორგი ბაბუაძემ მოღვაწეობა ჯერ იტალიაში, მოგვიანებით კი იაპონიაში განაგრძო. სხვადასხვა დროს, იგი იყო იაპონიის ქ. ოსაკას სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერი და ქ. ტოკიოს ხელოვნების უნივერსიტეტის ვიოლინოს კლასის პედაგოგი; მის რეპერტუარში არის: ვ. აზარაშვკილი "ნოკტიურნი", ნ. გაბუნია "იგავი", ნ. მამისაშვილი საორკესტრო პიესები, ს. ცინცაძე "მინიატურები", ასევე: მოცარტის, ვერდის, პუჩინის ოპერები, ინსტრუმენტული კონცერტები- მენდელსონი, პ. ჩაიკოვსკი.

კულტურის რიგით მე-10 ფესტივალი სანქტ-პეტერბურგში

5 ნოემბრიდან - 15 ნოემბრამდე, რუსეთის ფედერაციის ქ. სანქტ-პეტერბურგის ,,კალინინის რაიონის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის'' ბიბლიოთეკებში, ჩატარდა სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის მე-10 ფესტივალი. ფესტივალის მიზანი იყო სანქტ-პეტერბურგში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ისტორიის, ტრადიციების, ადათ-წესისა და ხელოვნების გაცნობა. ფესტივალზე, უკვე მეორე წელია, რაც ვ.ბელინსკის სახელობის ცენტრალური რაიონის ბიბლიოთეკა წარადგენს ქართულ კულტურას. მათი ჩართულობით მოხდა სალექციო კურსების: „მცხეთა - საქართველოს უძველესი დედაქალაქი“, “ქართული მუსიკა“ და „საქართველო რუსი მხატვრების ნახატებში“ მომზადება. აღნიშნულ ფესტივალში, ქ. სანქტ-პეტერბურგის რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის - “ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომია ივერია” ხელშეწყობით, მონაწილეობა მიიღეს ჯანო ლიპარტელიანის სახელობის ქართულ ხალხური ცეკვის ანსამბლმა - ,,სიხარული'' (სოფიკო ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით) და ქართული ფოლკლორული საბავშვო ჯგუფმა - ,,დარიალი'' (ლეილა ენუქიძის ხელმძღვანელობით); ასევე, საზოგადოებრივი ორგანიზაციის დახმარებით მოეწყო სანქტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მხატვართა: თინათინ ზარანდია-ქუთალიას, მზია სამადაშვილისა და თამაზ ბექაურის ნამუშევრების გამოფენა.

შეხვედრა მწერალ ნინო ხარატიშვილთან ქ. ჰაგაში

6 ნოემბერს, ჰაგაში, წიგნის სახლში „Paagman”, გერმანიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის წიგნის - „კატა და გენერალი” პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს ელჩი ნიდერლანდების სამეფოში გიორგი შარვაშიძე ესწრებოდა.

ნინო ხარატიშვილმა 3-დან - 11 ნოემბრის ჩათვლით ნიდერლანდების სამეფოს სხვადასხვა ქალაქში მკითხველთან შეხვედრები გამართა და ახალი წიგნი „კატა და გენერალი“ წარადგინა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ითარგმნა ჰოლანდიურად.

ფოტოგამოფენა მინსკში

6 ნოემბერს, მინსკის მიხაილ სავიცკის სახელობის სამხატვრო გალერეაში საზეიმოდ გაიხსნა ფოტოგამოფენა „საქართველო - უძველესი ისტორიის მქონე ქვეყანა“.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილ იქნა 100 ფოტო-ნამუშევარი ხუთ მიმართულებად: არქიტექტურა, ტურიზმი, ხელნაწერები, საქართველოს მუზეუმებში დაცული კოლექციები, საქართველოს ქრისტიანული კულტურის ნიმუშები და სიმბოლოები.

ფოტოგამოფენის გახსნას, ადგილობრივ საზოგადოებასთან ერთად დაესწრნენ მინსკის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის, მინსკის ისტორიის მუზეუმის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი და ქართული სათვისტომოს წევრები. დამსწრე საზოგადოების წინაშე ქართული ცეკვებით წარსდგნენ მინსკში არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის - „მზიური საქართველო“ მოზარდები და ქართული საცეკვაო სკოლა „ლელო“-ს დამარსებელი და ქორეოგრაფი, გივი კბილაშვილი.

გამოფენა ბელარუსის დედაქალაქში მიმდინარე წლის 17 ნოემბრამდე გაგრძელდა. გამოფენა ორგანიზებული იყო საქართველოს საელჩოს მიერ, მინსკის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტისა და მინსკის ისტორიის მუზეუმის ხელშეწყობით.

ლიზი ნამჩევაძე სტენვეის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა

7 ნოემბერს, ჰამბურგის ლაიც ჰალეში, გერმანიაში მცხოვრები 11 წლის ქართველი ნორჩი პიანისტი, ლიზი ნამჩევაძე სტენვეის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. წელს კონკურსში მონაწილეობდა 107 კონკურსანტი მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნებიდან. კონკურსი დაფუძნებულია მსოფლიოში წამყვანი ფორტეპიანოს ფორმის Steinway & Sons-ის მიერ 1937 წელს ჰამბურგში.

ლიზი ნამჩევაძე დაიბადა გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მუსიკოსების ოჯახში. აქტიურად მოღვაწეობს ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში და Art Music Georgias მიერ ორგანიზებულ დიასპორულ პროექტებში. იგი აგრეთვე მღერის შტუტგარტის სახელმწიფო ოპერის ბავშვთა გუნდში.

გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის საგუნდო კაპელას კონცერტი ქალაქ სტრასბურგში

7 ნოემბერს, ქ. სტრასბურგში, „Temple Neuf“-ის ტაძარში თბილისის პოლიტიკურ სწავლებათა სკოლის ინიციატივითა და ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ორგანიზებით, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის საგუნდო კაპელას კონცერტი გაიმართა. კონცერტზე შესრულდა აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელის, ზვიად ბოლქვაძის მიერ არანჟირებული ქართული კომპოზიციები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ევროპის საბჭოს, სტრასბურგისა და კელის მერიების, სტრასბურგში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ასევე, თბილისის პოლიტიკურ სწავლებათა სკოლის მსმენელები. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებამ დამსწრე სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

წიგნის - "Tbilisi it’s complicated“პრეზენტაცია

8 ნოემბერს, ქ. ბერლინში, საქართველოს საელჩოში გაიმართა წიგნის - "Tbilisi it’s complicated" პრეზენტაცია. საღამოს მონაწილე სტუმრებს წიგნის შესახებ ესაუბრა თანაავტორი ნინი ფალავანდიშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ გერმანიის ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე დაესწრო თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია.

პროექტის - „ნორვეგიაში მცხოვრები ბავშვები ეცნობიან ქართულ კულინარია“ პრეზენტაცია

9 ნოემბერს, ოსლოში, ნორვეგიის სამეფოში საქართველოს საელჩოში, ორგანიზაციის "გეონორი - კავშირი საქართველოსა და ნორვეგიას შორის" პროექტის "ნორვეგიაში მცხოვრები ბავშვები ეცნობიან ქართულ კულინარიას" პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ოსლოში მცხოვრები ქართულენოვანი ბავშვები და მშობლები, საქართველოს ელჩი, მაია ყიფშიძე და კონსული, ნათია სებისკვერაძე.

პრეზენტაციის შემდეგ ბავშვები ჩაებნენ სხვადასხვა სახალისო ენობრივ-მათემატიკურ აქტივობებში.

ქალაქ სანქტ-პეტერბურგში ნაციონალური კულტურის ფესტივალ-კონკურსში

10 ნოემბერს, ქ. სანქტ-პეტერბურგში გამართულ კულტურის ფესტივალ-კონკურსში - ,,მალაქიტის ყუთი'' მონაწილეობა მიიღო რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია - “ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომია ივერია”-სთან არსებულმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა - ,,ლაზიკა“, კობა ზარქუას ხელმძღვანელობით.

კონკურსში ანსამბლი ,,ლაზიკა'' დაჯილდოვდა მეორე ხარისხის ლაურეატის დიპლომით, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელს - კობა ზარქუას, გადაეცა მადლობის წერილი პროფესიონალიზმისა და კონცერტის პროგრამის წარმატებით მომზადებისთვის.

სემინარი „განათლების მიიღების შესაძლებლობები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ ათენში

10 ნოემბერს, ქ. ათენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2019 წლის გამარჯვებულის საბერძნეთის რესპუბლიკაში, ლიკა ჯანელიძის ინიციატივით, გაიმართა სემინარი სახელწოდებით: „განათლების მიიღების შესაძლებლობები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“.

აღნიშნულ შეხვედრაზე „ახალგაზრდა ელჩმა“, ასევე შეაჯამა მისი ერთწლიანი საქმიანობა და მადლობა გადაუხადა საბერძნეთში მოქმედ დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, საქართველოს ელჩს, იოსებ ნანობაშვილს და თესალონიკში საქართველოს გენერალურ კონსულს მუხრან გულაღაშვილს მის მიერ განხორციელებული პროექტების მხარდაჭერისთვის.

ქართული სამზარეულოს მასტერკლასი

10 ნოემბერს, ქ. ვარშავაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებულის პოლონეთის რესპუბლიკაში, თამარ ლორთქიფანიძის ორგანიზებით ქართული სამზარეულოს მასტერკლასი ჩატარდა.

ღონისძიებაში 25-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათ დაურიგდათ ქართული კერძების რეცეპტები. მასტერკლასი თამუნა კილაძემ ჩაატარა. მონაწილეებმა საკუთარი ხელით მოამზადეს და შემდეგ დააგემოვნეს ხინკალი, ხაჭაპური და ბადრიჯანი ნიგვზით. მათ ასევე დააგემოვნეს ქართული ღვინო.

ქართული ეთნო-ჯაზბენდის "ირიაოს" კონცერტი მიუნსტარლანდის ფესტივალზე

10 ნოემბერს, მიუნსტარლანდის ფესტივალი ქართული ეთნო-ჯაზბენდის "ირიაოს" წარმატებული კონცერტით დასრულდა. ღონისძიება გაიმართა ბურგ ფიშერინგის სასახლეში და მას 250 მდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის დიასპორის წარმომადგენლები.
სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს კოესფელდის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კრისტიან შულცე პელენგარმა, საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ ქეთევან გვენეტაძემ, მიუნსტერლანდის საბჭოს წევრმა კლაუს ელინგმა და ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა კრისტინე ზორიესმა.

ანსამბლ "ჩვენებურების" კონცერტი ვენაში

10 ნოემბერს, ქ. ვენაში, ავსტრიაში ქართული სათვისტომოს ორგანიზებით, გაიმართა ქართული ფოლკლორული ანსამბლ "ჩვენებურები"-სა და მომღერალ ლელა ნაყეურის ერთობლივი კონცერტი.
კონცერტზე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები ტრადიციული ქართული საკრავების გამოყენებით. ღონისძიებას სხვა სტუმრებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, დავით დონდუა.
ანსამბლი "ჩვენებურები" ვენის შემდეგ, შემოქმედებით ტურნეს ევროპის სხვადასხვა ქალაქში განაგრძობს.

„ცოცხალი წიგნები" ქალაქ ემპოლში

10 ნოემბერს, ქ. ემპოლიში ასოციაციების "სამშობლო გულით სატარებელი" (მილანი) და "ჟალეთი" (ფლორენცია) ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ქართველ და იტალიელ პოეტებთან.
პროექტის „ცოცხალი წიგნები" ავტორმა ქეთევან დუმბაძემ და იტალიაში მოღვაწე მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ წარადგინეს წიგნი - "როცა ქვეყნებს სძინავთ". წიგნი "ცოცხალი წიგნებისა" და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, იტალიური გამომცემლობის - "ლა ვიტა ფელიჩე" მიერ დაიბეჭდა. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, თავმჯდომარის მოადგილე გივი ჭიჭინაძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

შეხვედრა დუზჯეს უნივერსიტეტში

11 ნოემბერს, დუზჯეში სამუშაო მივლინების ფარგლებში, საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ შეხვედრა გამართა დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორთან, პროფ. დოქ. ნიგარ დემირჯან ჩაქართან. შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორს მადლობა გადაუხადა ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების მხარდაჭერისათვის, რომელიც 2013 წელს გაიხსნა. ასევე აღინიშნა დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების პროფესორების (მაკა სალია, შორენა ლომაია, ნანა კაჭარავა, მარინა სულხანიშვილი, ფევზი ჩელები) ღვაწლი, რომლებიც წარმატებით უძღვებიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე და ერთობლივი პროექტების

განხორციელების შესაძლებლობებზე. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ, საქართველოს ელჩმა შეხვედრა გამართა ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან და ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს ელჩი გაესაუბრა პროფესორებსა და სტუდენტებს და იქვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცა. ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტები საქართველოს ელჩის წინაშე წარსდგნენ ქართველი პოეტების ლექსებით. შემდეგ მათ იმღერეს "სულიკო" და საქართველოს ჰიმნი. მივლინების დასასრულს, საქართველოს ელჩი დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციას ეწვია, სადაც შეხვედრა გამართა ასოციაციის ხელმძღვანელობასთან და წევრებთან.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველო-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ძირითადი ასპექტები და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ქართული დიასპორის როლს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების საკითხში. ელჩმა გამოხატა მზაობა აქტიურად ითანამშრომლოს ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან და ჩაერთოს ორმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაში. ამასთან, შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მსგავსი შეხვედრები მიიღებს რეგულარულ ხასიათს, როგორც საელჩოსა და საკონსულოს წარმომადგენლებთან, ასევე საქართველოდან ჩამოსული ოფიციალური დელეგაციების ხელმძღვანელებთან.

პროექტის „როცა ქვეყნებს სძინავთ - 7 ქართველი და 7 იტალიელი პოეტი ქალი სიფხიზლისთვის“ პრეზენტაცია რომში

12 ნოემბერს, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, რომის ლიტერატურულ სახლში, პოეზიის ანთოლოგიის „როცა ქვეყნებს სძინავთ - 7 ქართველი და 7 იტალიელი პოეტი ქალი სიფხიზლისთვის“ პრეზენტაცია და ანთოლოგიაში შესულ ავტორებთან შეხვედრა გაიმართა.

პრეზენტაციას რომში მცხოვრები ქართველი თანამემამულეები და იტალიელი სტუმრები დაესწრნენ. მათ იტალიაში საქართველოს ელჩი, კონსტანტინე სურგულაძე მიესალმა.

ღონისძიების დამსწრეებს საკუთარი ლექსები წაუკითხეს ცნობილმა ქართველმა პოეტებმა ეთერ თათარაიძემ, ელა გოჩიაშვილმა, ეკა ქევანიშვილმა, მანონ ბულისკერიამ და იტალიელმა პოეტმა ანიტა პისკაციმ.

ლექსები იტალიურად და ქართულად, იტალიაში მოღვაწე ცნობილმა მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ თარგმნა. მანვე შეადგინა პოეტური ანთოლოგია და სტუმრებს მის მიერ თარგმნილი ლექსები გააცნო.

გიგიშა აბაშიძის ფილმის "მეზობლები" ჩვენება

14 ნოემბერს, დანიის ფილმის ინსტიტუტისა და დანიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლობით, კოპენჰაგენში, East by South East კინო ფესტივალის გარგლებში, რეჟისორ გიგიშა აბაშიძის ფილმის „მეზობლები“ ჩვენება გაიმართა.

ჩვენებამდე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს დანიის ფილმის ინსტიტუტის წარმომადგენელმა, იესპერ ანდერსენმა და საელჩოს მრჩეველმა, ქეთევან მარკოზიამ. დანიელ მაყურებელთან ერთად, მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ დანიაში მცხოვრები ქართველები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

გამოფენა „ Grüße aus Georgien“ ბერლინში

14 ნოემბერს ქ. ბერლინის გალერეა "კუნსპუნქტში" გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით: „Grüße aus Georgien“.
პირველად გერმანიაში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ბერლინში მოღვაწე 36 ქართველი ხელოვანის ნამუშევრები.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა წიგნის „Tbilisi it’s complicated“ პრეზენტაცია და ელზა ჯავახიშვილის პერფორმანსი "Unfinished Poetry" .

ქართული საღამო ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში

14 ნოემბერს, ავსტრიაში საქართველოს საელჩოს თანაორგანიზებითა და მხარდაჭერით, ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართა ქართული საღამო, რომელიც მიეძღვნა ამავე უნივერსიტეტის ხალხური და ეთნო მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ 2019 წლის ზაფხულში საქართველოში განხორციელებულ სასწავლო ვიზიტს. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმოგზაურეს და ადგილობრივი ფოლკლორის თავისებურებები შეისწავლეს.

საქართველოსადმი მიძღვნილ საღამოზე სტუდენტებმა ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს და ვრცელი პრეზენტაცია წარადგინეს ქართული ფოლკლორის შესახებ. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, მათ აგრეთვე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც საქართველოში მოგზაურობის დროს შეძენილ შთაბეჭდილებებს გადმოსცემს. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, ვენის კულტურისა და სამეცნიერო წრეებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
ქართულ საღამოზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ავსტრიაში საქართველოს ელჩმა, დავით დონდუამ. ელჩმა მადლობა გადაუხადა როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ასევე სტუდენტებს ავსტრიაში ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის. თავის გამოსვლაში დავით დონდუამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქართულ მუსიკალურ ტრადიციებზე და ხაზი გაუსვა კულტურის სფეროში ავსტრიასა და საქართველოს შორის არსებულ თანამშრომლობას. სტუმრებს ასევე, სიტყვით მიმართეს ფოლკლორისა და ეთნო მუსიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ურსულა ჰემეტეკმა და უნივერსიტეტის პროფესორმა, ულრიხ მორგენშტერნმა.
ღონისძიების დასრულების შემდეგ გაიმართა მიღება, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და კერძები.

გამოფენა - “ჩემი ხმა ევროპას“

14 ნოემბერს, ბელგიაში დაფუძნებული ორგანიზაციის ,,ევროპული ალიანსი საქართველოსთვის” თანაორგანიზებით, საქართველოს საელჩოში მოეწყო საქართველოდან სასწავლო ვიზიტით მყოფი ქართველი ახალგაზრდების ნახატების გამოფენა, სახელწოდებით “ჩემი ხმა ევროპას”.
ღონისძიების მსვლელობისას ევროკავშირის ინსტიტუციების წარმომადგენლებისა და ექსპერტების მონაწილეობით შეჯამდა აღნიშნული სასწავლო ვიზიტი.
ღონისძიება, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართულ-ბელგიური საღამო

16 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2019 წლის გამაჯრვებულის, ნინო ახალშენიშვილის ორგანიზებით ქართულ-ბელგიური საღამო გაიმართა.

საღამო, რომელიც ქართულ-ბელგიურ მეგობრობას მიეძღვნა, ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის მოგონებით დაიწყო. საღამოზე წარმოდგენილი იყო ბელგიელი ფოტოგრაფების ბენუა სტროისის და ან ტირის ნამუშევრების გამოფენა - "ბელგიელების მიერ დანახული საქართველო" და ქართველი მხატვრის მანანა წერეთლის ნამუშევრების გამოფენა "საქართველო".

საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ ბელგიური ანსამბლი "ჟუჟუნა", რომელმაც შეასრულა ქართული პოლიფონიური სიმღერები და ბელგიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსები ჟორჟ-ლუკა ილურიძე და მარინა ქსოვრელი. ჟორჟ-ლუკა ილურიძე პრესტიჟული კონკურსის "ახალგაზრდა ბელგიელი ტალანტი 2018"-ის ფინალისტია. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობას იღებდა ქ. ანტვერპენში არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი "მედეა", რომელიც უკვე 20 წელზე მეტია ბელგიაში მოღვაწეობს და არაერთი თაობა აღზარდა.

ქართული ღვინის დეგუსტაცია პარიზში

16 ნოემბერს, ქ. პარიზში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი„ 2019 წლის გამარჯვებულის, მერი უღრელიძის ორგანიზებით გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია.

საღამოს პირველ ნაწილში ისტორიკოსმა და ქართველ ქალმეღვინეთა ასოციასიის დამაარსებელმა - ანა ჭეიშვილმა, სტუმრებს გააცნო საქართველოში ღვინის კულტურა და მისი დამზადების ტრადიციული ტექნოლოგია.

ღონისძიების მეორე ნაწილში უცხოელი მეგობრებისთვის გაიმართა თემატური თამაშები და სტურმებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

საერთაშორისო საქველმოქმედო ბაზარში ირლანდიაში

17 ნოემბერს, ირლანდიაში საქართველოს საელჩომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო საქველმოქმედო ბაზარში, რომელიც დუბლინში ყოველწლიურად იმართება დიპლომატიური კორპუსის ორგანიზებით.

ღონისძიებაზე საქართველოს საელჩომ წარმოადგინა ქართული კუთხე, ღვინითა და ტრადიციული ქართული კერძებით. საქართველოს საელჩო საქველმოქმედო ბაზარში უკვე მეოთხე წელიწადია მონაწილეობს და ქართული კუთხე ირლანდიელი და უცხოელი სტუმრების დიდი მოწონებით სარგებლობს.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ირლანდიაში მცხოვრები თანამემამულეები.

ქართული ეროვნული ბალეტი "სუხიშვილები" ვენაში

18 ნოემბერს, პირველად ვენაში, საკონცერტო დარბაზ Stadthalle-ში გაიმართა საქართველოს ეროვნული ბალეტის „სუხიშვილების" კონცერტი. კონცერტზე ანსამბლი „სუხიშვილები" განახლებული პროგრამით წარსდგა ავსტრიელი მაყურებლის წინაშე. ტრადიციულ პროგრამასთან ერთად, შესრულდა ახალი, თანამედროვე ელემენტებით დატვირთული ცეკვები.
ავსტრიაში საქართველოს ელჩის, დავით დონდუას მოწვევით, კონცერტს ესწრებოდნენ ავსტრიის სახელმწიფო უწყებებისა და ვენაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართული კუთხე ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში

19 ნოემბერს, საქართველოს ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაშია ალქსანდრე ნალბანდოვი, სამუშაო ვიზიტით ესტუმრა ალექსანდრიის ბიბლიოთეკას, სადაც საზეიმო ვითარებაში ბიბლიოთეკას გადაეცა შემდეგი წიგნები და ალბომები: „კულტურა და მხატვრული ცხოვრება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918- 1921)"; „აფხაზეთი, საქართველო: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა" (ქართულ და არაბულ ენებზე); „აფხაზეთის თანამედროვე მხატვრები"; "ქართული კულტურული მემკვიდრეობა- აფხაზეთი"; „Georgia- Land of Hospitality". საქართველოს საელჩოს მიერ ალექსანდრიის ბიბლიოთეკას საქართველოში გამოცემული სხვადასხვა თემატიკის წიგნები უკვე მეორედ გადაეცა. ალქსანდრე ნალბანდოვმა, ასევე გამართა სამუშაო შეხვედრები ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორ მუსტაფა ელ ფეკისთან და ბიბლიოთეკის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის განყოფილების ხელმძღვანელ შერიფ რიადთან, სადაც მხარეებმა განიხილეს შემდგომი თანამშრომლობის საკითხები.

საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და ალექსანდრიის ბიბლიოთეკასთან თანამშრმლობით ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან არსებულ უცხოელთათვის არაბული ენის შემსწავლელ ცენტრში სწავლობენ, შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში დაცულ უძველეს მანუსკრიპტებსა და სხვა ღირშესანიშნაობებს. ალექსანდრიის ბიბლიოთეკასა და საქართველოს საელჩოს შორის შემდგარი შეთანხმების საფუძველზე ღონისძიების მონაწილე ქართველ სტუდენტებს, ეგვიპტეში მათი სწავლის პერიოდში უსასყიდლოდ შეეძლებათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით.

ლიეტუველები ქართულ სამზარეულოს ეცნობიან

20 ნოემბერს, ლიეტუვაში ქართული დიასპორული ორგანიზაციის "კახეთის" დამფუძნებელმა ლევან სეფაშვილმა ვილნიუსის უნივერსიტეტის ქართული ენისა და კულტურის კურსების ლიეტუველ სტუდენტებს ქართული სამზარეულო გააცნო.
რესტორან "ფიროსმანში" ლევან სეფაშვილმა, მისმა მეუღლემ, ვილმა სეფაშვილმა და რესტორნის შეფ-მზარეულმა, მალხაზ სუმბაძემ ლიეტუველ სტუდენტებს ხინკლისა და ხაჭაპურის მომზადება ასწავლეს.
საქართველოს საელჩოს ძალისხმევით ვილნიუსის უნივერსიტეტში ქართული ენისა და კულტურის კურსები უკვე მეექვსე წელია წარმატებით ფუნქციონირებს.

ქართული მონოსპექტაკლი „დაბადების დღე“ ჰაagაში

20 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - “იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი” ნიდერლანდების სამეფოში 2019 წლის გამარჯვებულის, ერეკლე კომპლატაძის თანადგომით და პროექტის “მედიაArt2” ფარგლებში, ქ. ჰააგაში გაიმართა მონოსპექტაკის ჟესტების ენაზე „დაბადების დღე“. საქართველოს ელჩი ნიდერლანდების სამეფოში გიორგი შარვაშიძე მონოსპექტაკლს დაესწრო.

“მედიაArt2” ითვალისწინებს თანამედროვე სახელოვნებო პროდუქტის ადაპტირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კერძოდ სმენადაქვეითებულ /სმენისარმქონეთათვის. “მედიაArt2” მოიცავს სამ სახელოვნებო მიმართულებას: მხატვრობა, მუსიკა და თეატრი. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდება მონოსპექტაკლი „დაბადების დღე“. წარმოდგენილი ყველა აქტივობა ადაპტირებული და აღქმადია სმენისარმქონე/სმენადაქვეითებულ პირთათვის.

მონოსპექტაკლი „დაბადების დღე“ მოგვითხრობს ნინისა და გიორგის სევდიან რომანტიულ სიყვარულზე. ახალგაზრდა გოგონა შეყვარებულთან ერთად თბილისიდან ბათუმში ზღვის სანახავად გამოიპარება. რამდენიმე წლის შემდეგ, მათი სიყვარულის ისტორია ტრაგიკულად განვითარდება. მონოსპექტაკლის რეჟისორი და პიესის ავტორია ლაშა შეროზია. შემსრულებელი - ინგა კირცხალია. ქართველი არტისტების დელეგაციის სხვა წევრები არიან სოფო იაკობიძე და ნინო ჩხაიძე.

სპექტაკლი 21 ნოემბერს ქალაქ გრონინგენშიც გაიმართა.

საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი ქ.ათენის 50-ე საჯარო სკოლას ესტუმრა

21 ნოემბერს, საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, დეა მუმლაძე ესტუმრა ქ. ათენის 50-ე საჯარო სკოლას, რომელშიც საფუძველი ჩაეყარა ათენის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამას.

საელჩოს წარმომადგენელი გაეცნო სასწავლო პროცესს. მან მასწავლებლებთან, მადონა ჯავახიშვილთან და ხათუნა ლომჯარიძესთან შეხვედრის ფარგლებში ისაუბრა ქართული ემიგრაციის მომავალი თაობებისთვის მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობაზე. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ქართული ენის სწავლების პროგრამის გავრცელების შესაძლებლობას ათენის სხვა საჯარო სკოლებში.

დღეისათვის ქართული ენის გაკვეთილები ათენის უკვე ორ, 150-ე და 50-ე საჯარო სკოლებში ტარდება.

იზმირში ქართული ენის კურსები გაიხსნა

21 ნოემბერს, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, ასევე ქ. იზმირში საქართველოს საპატიო საკონსულოს ხელშეწყობითა და იზმირის ქართული კულტურის ასოციაციის (ხელმძღვანელი: ილქერ ილდიზ პაპუაშვილი) ორგანიზებით, იზმირის ქემალფაშას რაიონში პირველად გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული კურსის მოსწავლეები ქართულ ენას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოების საფუძველზე დაეუფლებიან.

ქართული ღვინის საღამო რომში

21 ნოემბერს, რომის ერთ-ერთ ენოტეკაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - "იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" 2019 წლის გამარჯვებულის იტალიაში, ნენო გაბელიასა და ასევე იტალიაში მცხოვრები ქართველის, თამარ ჭიჭიბოშვილის ორგანიზებით, გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება მიეცათ, ასევე დაეგემოვნებინათ ქართული კერძები. დეგუსტაციაზე წარდგენილი იყო გიორგი ნათენაძის მესხური სამი ჯიშის ღვინო: მესხური თეთრი, მესხური წითელი და თამარის ვაზი.

ახალგაზრდა მეღვინემ, გიორგი ნათენაძემ რამდენიმე წლის წინ, ახალციხეში, დაიწყო მესხური ტერასების აღდგენა. ღონისძიებაზე, მან ენოტეკის მეპატრონესთან, ცნობილ სომილე ანდრეა ტუჩიარონესთან ერთად, გააცნო ქართული ღვინის და მის მიერ გაცოცხლებული ვაზის ენდემური ჯიშების ისტორია.

ღონისძიების დასასრულს, მილანში მოღვაწე მთარგმნელმა, ნუნუ გელაძემ წაიკითხა ერთი-ერთი იტალიელი პოეტის ლექსი საქართველოზე.

შეხვედრა გაიზელჰაიმის უნივერსიტეტში

21 ნოემბერს ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური კონსული, ლევან დიასამიძე გაიზენჰაიმის უნივერსიტეტს ეწვია. მან შეხვედრა გამართა ღვინის საერთაშორისო მარკეტინგის პროფესორებთან, იონ ჰანფთან და სოფი ღვანიძესთან.

შეხვედრაზე განხილული იქნა გაიზენჰაიმის უნივერსიტეტის სასწავლო სისტემა, ქართველი სტუდენტების ჩამოყვანის პროცედურები და ურთიერთობები ქართულ უნივერსიტეტებთან.

გენერალური კონსული, ასევე, შეხვდა გაიზენჰაიმის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, გენერალური კონსულითვის გაეცნოთ სამომავლო გეგმები და დაესვათ კითხვები მათთვის საინტერესო საკონსულო თემებზე. შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა რამოდენიმე კონკრეტული ღონისძიება, რომელიც ორივე მხარის ჩართულობით 2020 წლის განმავლობაში განხორციელდება. კერძდე, გაიზენჰაიმის უნივერსიტეტში გაიმართება ქართული საღამო და ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურ საკონსულოში ჩატარდება ღვინის დეგუსტაცია.

საქართველოს ევროინტეგრაციის თემაზე დუბლინში ლექცია-სემინარი ჩატარდა



21 ნოემბერს, დუბლინში საუნივერსიტეტო კოლეჯის (UCD) პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლაში, ჩატარდა ლექცია-სემინარი საქართველოს ევროინტეგრაციის თემაზე „საქართველოს ევროპული გზა".

ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივებზე აკადემიურ ჭრილში პრეზენტაცია გააკეთა კოლეჯის ქართველმა სტუდენტმა ნანუკა ოდიკაძემ, რის შემდეგაც ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ზურაბაშვილი წაიკითხა ლექცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე, ამ მიმართულებით მიღწეულ შთამბეჭდავ შედეგებზე,

ვიზალიბერალიზაციასა და ასოცირების შეთანხმებაზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ჩათვლით. პრეზენტაცია ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მაგისტრანტებისთვის და დამსწრე საზოგადოებისთვის, რაც აისახა კითხვა-პასუხის ნაწილში.

შეხვედრის დასასრულს, ელჩმა გიორგი ზურაბაშვილმა მადლობა გადაუხადა სემინარის ორგანიზატორებს და ქართველ სტუდენტ-მაგისტრანტს ნანუკა ოდიკაძეს ღონისძიებაზე მოწვევისა და საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ აკადემიურ წრეებში ცნობადობის ამაღლების კუთხით გაწეული მუშაობისთვის.

ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა სანქტ-პეტერბურგში

22 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის ქალაქ სანქტ-პეტერბურგში, საგამოფენო დარბაზში - ИФА გამოფენა, სახელწოდებით ,,პალიტრა IV " გაიხსნა. გამოფენაში წარმოდგენილია ქალაქ სანქტ-პეტერბურგში მცხოვრები და მოღვაწე 12 ქართველი მხატვრის ნამუშევარები.

გამოფენის მხარდამჭერია ქ. სანქტ-პეტერბურგის რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია - "ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომია ივერია".

გამოფენა გაგრძელდება ა.წ. 5 დეკემბრამდე.

ერევანში სომხურ-ქართული მეგობრობის საღამო გაიმართა



22 ნოემბერს, ქ. ერევანში არნო ბაბაჯანიანის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სომხურ-ქართული მეგობრობის საღამო (კონცერტი) სახელწოდებით „ჰოვანეს თუმანიანი და საქართველო". ღონისძიება მიეძღვნა ჰოვანეს თუმანიანის 150 წლისთავს და მოიცავდა მწერლის შემოქმედებას ქართულ და სომხურ ენებზე, მუსიკალურ და თეატრალურ ნომრებს.

სტუმრებს შორის იყვნენ სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სრბუჰი ღაზარიან, პრემიერ-მინისტრის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიის საკითხების განყოფილების სპეციალისტი ნარა გულიანი, სომხეთში ქართული საქველმოქმედო სათვისტომო „ივერიას" წევრები, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი გიორგი საგანელიძე, საელჩოს თანამშრომლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

საღამოს უძღვებოდნენ სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტი ნინო სპანდერაშვილი და ქართული საკვირაო სკოლის დირექტორი ლიანა სამადალაშვილი.

ქართული კინოს XV ფესტივალი უკრაინაში

22 ნოემბერს, სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგია", უკრაინის ქართველთა ასოციაციის "იბერიელი", საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, ქ. კიევში, კინოთატრში „ჟოვტენი", საზეიმოდ გაიხსნა ახალი ქართული კინოს XV ფესტივალი, რომელიც წელს შინდისის გმირების და ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ხსოვნას მიეძღვნა.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თეიმურაზ შარაშენიძემ და სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანების - „გეორგია" პრეზიდენტმა, ბესიკ შამუგიამ.

კინოფესტივალი გაიხსნა ქართველი რეჟისორის, დიტო ცინცაძის ფილმის „შინდისი" ჩვენებით. აღსანიშნავია, რომ ფილმი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს ასახავს, ოსკარის დაჯილდოების ნომინანტთა სიაშია.

ახალი ქართული კინოს ფესტივალი, ასევე, გაიმართა უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში: დნეპროპეტროვსკში, ხარკოვში, ოდესაში, ლვოვსა და ხერსონში.

დანტე ალიგიერის საზოგადოებამ დავით მაღრაძეს უმასპინძლა რომში

22 ნოემბერს, ქ. რომში, ფლორენციის სასახლეში, დანტე ალიგიერის საზოგადოებამ ქართველ პოეტს, დავით მაღრაძეს უმასპინძლა.

ქართველმა პოეტმა საკუთარი ლექსების კრებული „უსათაურო“ წარადგინა და ცნობილ იტალიელ მსახიობთან, ვალენტინა კიკოსთან ერთად შეკრებილ საზოგადოებას, ორენოვანი პერფორმანსიც შესთავაზა.

დანტე ალიგიერის საზოგადოების პრეზიდენტმა, ალესანდრო მასიმ, დავით მაღრაძე ოქროს მედლით დააჯილდოვა, წიგნის თარგმნისთვის ჯილდო ასევე მიიღო მთარმნელმა ნუნუ გელაძემ, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. მილანში.

ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში, კონსტანტინე სურგულაძე, რომელსაც გადაეცა ჯილდო გაწეული დახმარებისთვის.

კარლ ანდერს ბრაიტჰოლცის წიგნის პრეზენტაცია "რვა დღე საქართველოში” დანიაში

22 ნოემბერს, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა შვედი ავტორის, კარლ ანდერს ბრაიტჰოლცის წიგნის პრეზენტაციას "რვა დღე საქართველოში: წიგნი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროში მომლოცველობის შესახებ". პრეზენტაციას დაესწრენ შვედური და დანიური მართლმადიდებლური მრევლის, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა საქართველოს ელჩმა, გიგი გიგიაძემ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

კარლ ანდერს ბრაიტჰოლცი ექვსი წლის წინ გახდა მართლმადიდებლური ეკლესიის წევრი.

მან ამ ხნის განმავლობაში საქართველოსა და წმინდა ათონის მთაზე იმოგზაურა მომლოცველობის მიზნით. საკუთარ წიგნში ბრაიტჰოლცი აღწერს საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებასა და ისტორიულ სიმდიდრეს.

გარდა ისტორიული და რელიგიური ფაქტებისა, წიგნი მდიდარია ავტორის შთაბეჭდილებებით. შვედი მართლმადიდებელის მიერ დანახულმა საქართველომ აუდიტორიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

გაეროს ქალთა გილდიის საქველმოქმედო ბაზარი ვენაში

22-23 ნოემბერს, ვენაში რიგით 51-ე გაეროს ქალთა გილდიის საქველმოქმედო ბაზარი (UNWG International Festival - Charity Bazaar) გაიმართა, სადაც საქართველოს საელჩო, ქართულ დიასპორასთან ერთად, ტრადიციულად ქართული კუთხით იყო წარმოდგენილი.

საქველმოქმედო ბაზარზე დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოენახულებინათ და შეეძინათ ქართველი ხელოვანების ნამუშევრები, მათ შორის ხელნაკეთი ნივთები, სამკაულები, საქართველოს შესახებ სუვენირები და სხვა მრავალი.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ქალთა გილდიის საერთაშორისო საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა ვენაში ყოველწლიურად იმართება და მას ათასობით ადამიანი სტუმრობს. ფესტივალზე შემოსული თანხით ქალთა გილდია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბავშვების დასახმარებლად საქველმოქმედო პროექტებს აფინანსებს.

თათარაობა ჰანოვერის ქართულ საკვირაო სკოლაში

23 ნოემბერს, ჰანოვერის ქართულმა სათვისტომომ, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქართულ საკვირაო სკოლაში თათარაობა გამართა. უსაზღვროდ მონდომებულმა და ქართულ ტრადიციებზე შეყვარებულმა ბავშვებმა დიდი ენთუზიაზმით ამოავლეს ჩურჩხელები. სანამ მშობლები თათარას დაადუღებდნენ, ბავშვებს ჩაუტარდათ ქართული ცეკვის ყოველკვირეული გაკვეთილები. ასევე, მშობლების ინიციატივით მოეწყო დეკორატიული კუთხე ქართული ორნამენტებით, სადაც ფოტოსესიის შემდეგ ბავშვებმა საქართველოს ჰიმნი შეასრულეს.

საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვა ათენში

23 და 24 ნოემბერს, ქ. ათენში მოქმედი საქველმოქმედო საზოგადოება ,,Friends of Childe'' – ის ორგანიზებითა და ქ. ათენში აკრედიტებული საელჩოების თანამონაწილეობით, საგამოფენო ცენტრში „ჰელექსპო“ გაიმართა ყოველწლიური საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიებაში საქართველოს საელჩო ტრადიციულად, წარმოდგენილი იყო ეროვნული სტენდით. სტენდზე გამოფენილი გახლდათ საბერძნეთში მცხოვრები დიასპორის წარმომადგენლების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები და აქსესუარები. ასევე საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი მასალა. გამოფენის სტუმრებს საქართველოს შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ, როგორც ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ასევე საელჩოს თანამშრომლები.

საგამოფენო ცენტრში, საშობაო ღონისძიების ფარგლებში, ათენის კულტურის ცენტრ ,,კავკასიის'' ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა შეასრულა ქართული ეროვნული ცეკვები.

მინსკის წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების ტაძარში შესრულდა ღვთისმსახურება ქართულ ენაზე

23 ნოემბერს, მინსკის წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების ტაძარში, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების - „მამული'' ორგანიზებით, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, შესრულდა ღვთისმსახურება ქართულ ენაზე.

ლოცვას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაესწრნენ სათვისტომოს წარმომადგენლები. ლოცვის დასასრულს მამა მაქსიმემ ქართველ მრევლს მიულოცა დიდი დღესასწაული, უსურვა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ქართველებმა მადლობა გადაუხადეს ეკლესიის სასულიერო პირებს გამოჩენილი სულგრძელობისა და ყურადღებისთვის.

შემოდგომის გაცილება ლოდის საკვირაო სკოლაში

23 ნოემბერს, ისრაელში, ქ. ლოდის „ქართულ სახლში“, საკვირაო სკოლა „მამულის“ პედაგოგებმა და მოსწავლეებმა შემოდგომის გაცილების ზეიმი მოაწყვეს.

სკოლის აღსაზრდელებმა ზეიმისათვის სპეციალური საშემოდგომო კედლის გაზეთი გამოუშვეს და შეკრებილ საზოგადოებას ცნობილი ქართველი პოეტების მიერ შემოდგომისთვის მიძღვნილი ლექსები წაუკითხეს. შემოდგომის გაცილება „მამულის“ აღსაზრდელებმა სკოლის ბაღში, საკუთარი ხელით მოწეული საფერავის თათარაში ჩურჩხელების ამოვლებით დააგვირგვინეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

შეხვედრა ავსტრალიაში მცხოვრებ თანამემამულეებთან

23 ნოემბერს, გაიმართა შეხვედრა ქ. სიდნეიში მცხოვრებ თანამემამულეებთან. აღნიშნული შეხვედრა დაემთხვა გიორგობის დღესასწაულს, რომელიც შეხვედრის შემდეგ, თანამემამულეებთან ერთად საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. საელჩოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრას 70-მდე თანამემამულე ესწრებოდა. შეხვედრის ფარგლებში, საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, ჩვენს თანამემამულეებს გააცნეს საქართველოს მთავრობის ის პროგრამები და დიასპორული ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან კავშირების განმტკიცებას და მათ აქტიურ ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესში. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ქართველების ერთად შეკრება და ერთმანეთის გაცნობა/დაახლოება იყო. ღონისძიება წარმატებული აღმოჩნდა იმ კუთხითაც, რომ დამსწრე თანამემამულეთა გარკვეულმა რაოდენობამ ერთმანეთი სწორედ იქ გაიცნო.

შეხვედრა ანკარის ართვინელთა კულტურისა და ტურიზმის ასოციაციის წარმომადგენლებთან

24 ნოემბერს, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი, გიორგი ჯანჯღავა ანკარის ართვინელთა კულტურისა და ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელობისა და წევრების შეკრებას დაესწრო. ღონისძიებაზე ელჩმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა "ჩვენებურების" როლს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. თავის მხრივ, აღნიშნული ასოციაციის ხელმძღვანელმა, ბექირ დემირმა საქართველოს ელჩს სამადლობელი სიგელი გადასცა და მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ასოციაციის ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს ქართული ენის შემსწავლელი კურსი, სადაც მოსწავლეები ქართულ ენას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოების საფუძველზე ეუფლებიან.

საქველმოქმედო ღონისძიება „საშობაო ბაზრობა“ ესტონეთში

24 ნოემბერს, ქ.ტალინში არსებული საერთაშორისო ქალთა ასოციაციის (International Women's Club) ორგანიზებით, გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება „საშობაო ბაზრობა“. ღონისძიებას აქვს ყოველწლიური ხასიათი და მასში მონაწილეობას იღებს ესტონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი.

აღნიშნული საშობაო აქცია ტარდება გამოფენა-გაყიდვის ფორმატით, ხოლო შემოსული თანხა მთლიანად ირიცხება საქვემოქმედო ფონდში და ხმარდება ქალთა და ბავშვთა დაცვის შესაბამის ორგანიზაციებს.

ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ წელსაც მიიღო მონაწილეობა ტალინში გამართულ „საშობაო ბაზრობაში“, სადაც წარმოადგინა სხვადასხვა სახის ქართული პროდუქცია, ტრადიციული ქართული კერძები და სასმელები.

საქველმოქმედო ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით მონაწილეობდნენ ესტონეთში არსებული ქართული რესტორნები: ტავერნა „თბილისი“, „სულიკო“, ასევე ქართული პროდუქციის კომპანიები: „მიმინო“, „ბორჯომი“ და ქართული ჩაის მწარმოებელი კომპანია „რენეგეიდ“.

ქართული ფილმის ,,მონანიება" ჩვენება ბრიუსელში

24 ნოემბერს, ბრიუსელში, საქართველოს საელჩოს და ბალასის ინსტიტუტის ორგანიზებით, საერთაშორისო კინოფესტივალ 'Regained Freedom'-ის ფარგლებში, ქართული ფილმის ,,მონანიების" ჩვენება გაიმართა. დამსწრე აუდიტორიას თენგიზ აბულაძის ფილმი სცენარის ავტორმა ნანა ჯანელიძემ გააცნო. ფილმა 1987 წელს კანის ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი მოიპოვა.

ჩვენების შემდეგ, სცენარის ავტორთან ნანა ჯანელიძესთან, ფილმის შესახებ დისკუსია გაიმართა. ფილმის ჩვენებას ბელგიელ მაყურებელთან ერთად ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სუხიშვილების ეროვნული ბალეტის კონცერტი ბერლინში

25 ნოემბერს, ქ. ბერლინმა სუხიშვილების ეროვნული ბალეტის კონცერტს უმასპინძლა. ანსამბლი გერმანელი მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარსდგა. ტრადიციულ პროგრამასთან ერთად, შესრულდა ახალი, თანამედროვე ელემენტებით დატვირთული ცეკვები.

კონცერტს ესწრებოდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ელგუჯა ხოკრიშვილი, საქართველოს საელჩოსა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

სუხიშვილების საგასტროლო ტურნე გერმანიაში ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდა, კონცერტები გაიმართა ბრემენში, დიუსელდორფში, ფრანკფურტსა და ბერლინში.

ქართული საღამო ისრაელში

26 ნოემბერს, ისრაელში, ქ. ლოდის მერიის ინიციატივით, ლოდის კულტურის ცენტრში გაიმართა საქართველოდან ამოსული ებრაელების საზეიმო საღამო.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი ისრაელ კაცი, ეკონომიკის მინისტრი ელი კოენი, პარტია „ლიკუდის" ერთ-ერთი ლიდერი და ქნესეთის წევრი გიდონ საარი, ქნესეთის წევრი უზი დაიანი და სხვები. საღამო გახსნა ქ. ლოდის მერმა იაირ რევივომ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ისრაელის მთავრობის წევრებმა და საქართველოს ელჩმა ისრაელის სახელმწიფოში ლაშა ჟვანიამ.

გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო სანქტ-პეტერბურგში

26 ნოემბერს, ქალაქ სანქტ-პეტერბურგის თანამედროვე საკოლექციო ხელოვნების არტ-გალერეაში, რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის - "ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომია ივერი"-ისა და მასთან არსებული ახალგაზრდული გაერთიანების - "თერგდალეულების" ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ სათვისტომოს ხელმძღვანელები და წევრები.

საქართველოს ელჩმა გიორგი შარვაშიძემ ჰენგელოში პათოლოგიის ლაბორატორიაში შეხვედრები გამართა

26 ნოემბერს, ქალაქ ჰენგელოში, საქართველოს ელჩმა ნიდერლანდების სამეფოში გიორგი შარვაშიძემ პათოლოგიის ლაბორატორიაში "LabPON" შეხვედრები გამართა ლაბორატორიის ხელმძღვანელთან და სხვადასხვა განყოფილების უფროსებთან. ელჩმა დაათვალიერა პათოლოგიის ლაბორატორია და მოინახულა პათოლოგიის ციფრული განყოფილება, რომლის ხელმძღვანელიც ნიდერლანდებსა და საქართველოში მოღვაწე ქართველი ექიმი ალექსი ბაიდოშვილია. ალექსი ბაიდოშვილი ასევე გახლავთ ასოციაციის - „GIMPHA" (ქართული ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაცია) დამფუძნებელი, სადაც გაერთიანებულნი არიან საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი ექიმები.

ალექსი ბაიდოშვილის ინიციატივით „LabPON"-ში რეგიონში არსებულ ყველა იმ სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელთან, რომლებიც სხვადასხვა სახით თანამშრომლობენ საქართველოსთან, კერძოდ კი: LabMicta, Unilabs, Apotheek MST, ZGT Hengelo, MST Enschede შეხვედრა შედგა. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა გიორგი შარვაშიძემ. ელჩმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ სამედიცინო დაწესებულებას, რომლებიც სხვადასხვა სახით თანამშრომლობენ ქართველ კოლეგებთან და მათ საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

შეხვედრაზე ასევე სიტყვით გამოვიდა პათოლოგიის ლაბორატორიის „LabPON" დირექტორი რენატე ბერგმანი და პათოლოგიის ციფრული განყოფილების უფროსი ალექსი ბაიდოშვილი, რომელმაც საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლაბორატორიაში „LabPON" ასევე მუშაობენ ქართველი სპეციალისტები ანა ჯაფარიძე, ირინა მეფარიშვილი და შორენა ზოიძე.

შეხვედრა ლოზანას ქართულ საკვირაო სკოლაში

27 ნოემბერს, საქართველოს ელჩმა შვეიცარიის კონფედერაციაში დავით ჯალაღანიამ და კონსულმა ქეთევან ესიაშვილმა ლოზანას ქართულ საკვირაო სკოლა "იბერია" მოინახულეს.

საქართველოს ელჩმა საკვირაო სკოლის აღსაზრდელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში შექმნილი ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები საჩუქრად გადასცა.

ქართული ხალხური ხელოვნების კონცერტი ბასკეთში

27 ნოემბერს, ქ. ვიტორიაში "დენდარაბის" ცენტრში გაიმართა კონცერტი ბასკეთის მერიის ორგანიზებით.

კონცერტში მონაწილეობდნენ ვიტორიის წმ. გიორგის ქართულ სამრევლოსთან არსებული ხალხური საკრავების გუნდი ,,თამარიონი" და ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ჩვენებური".

ქართულმა ანსამბლებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ფილმის ,,Mein Papa, der Mönch“ ჩვენება

27 ნოემბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურ საკონსულოში, გენერალური საკონსულოსა და ქ. მაინის ფრანკფურტში ქართული გაერთიანება „Georgika“-ს ორგანიზებით, გაიმართა ფილმის ,,Mein Papa, der Mönch“ (2018) ჩვენება.
ფილმში ასახულია ლომისის წმინდა გიორგის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, რომელიც დედა ბარბარემ და მამა იოანემ საკუთარი სახსრებით რამდენიმე წლის წინ დაარსეს. ფილმის დასრულების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას საშუალება ქონდა გასაუბრებოდა ფილმის რეჟისორს ანასტასია ინოკუროვას.

გამოფენა „საქართველოს ხელოვნების საღამო: თეთრი დელტა“ ლიეტუვაში



27 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში, ლიეტუვაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, გაიმართა გამოფენა სახელწოდებით: „საქართველოს ხელოვნების საღამო: თეთრი დელტა“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული მხატვრობის ნამუშევრები და ტიხრული მინანქრის ნიმუშები.
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან ღვაჩლიანმა მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას მიმოიხილა კულტურის სფეროში საქართველოსა და ლიეტუვას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, ხოლო ქართველმა მხატვარ-დიზაინერებმა მოწვეულ სტუმრებს გააცნეს თავიანთი შემოქმედება და ესაუბრნენ ქართული ტიხრული მინანქრის ტრადიციის შესახებ.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ ვილნიუსში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ლიეტუვის ხელოვნებისა და კულტურის, ასევე ბიზნეს წრეებისა და დიასპორის წარმომადგენლები.
ქართული კულტურით დაინტერესებული სტუმრებისთვის წარმოდგენილი იყო მხატვრის გრიგოლ ღვანიას და მხატვარ-დიზაინერების სოფიო ეცადაშვილის, ელენა ფალავანდიშვილის, თამარ ჯაფარიძეს ნამუშევრები.

საქართველო ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა გახდა

28 ნოემბერს, მადრიდში გამართული ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს მე-60 საიუბილეო შეხვედრის ფარგლებში, საქართველო ოფიციალურად დასახელდა აღნიშნული ორგანიზაციის პრეზიდენტად.
აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წინ, 17 ქვეყნის დროშის გვერდით საქართველოს დროშა აღიმართა და ეზოში, საქართველოდან ჩამოტანილი ზეთისხილის ნერგი დაირგო. ღონისძიებაში მონაწილეობდა მადრიდში მოქმედი ქართული ცევკის აკადემია „ხეორხიას“ დასი.
ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი, საქართველოს ელჩი ესპანეთის სამეფოში ილია გიორგაძე.

ქეთევან სეფაშვილის სოლო კონცერტი ვენის Musikverein-ში

28 ნოემბერს, ვენის საკონცერტო დარბაზში - Wiener Musikverein, გაიმართა ავსტრიაში მოღვაწე ქართველი პიანისტის, ქეთევან სეფაშვილის საფორტეპიანო სოლო კონცერტი, რომელზეც შესრულდა ბახის, შოპენის და რახმანინოვის ნაწარმოებები.

ქეთევან სეფაშვილი უკვე მესამედ წარსდგა Musikverein-ის მსმენელის წინაშე და ამჯერადაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონცერტი საქველმოქმედო იყო და შემოსული თანხა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლას, „ნიჭიერთა ათწლედს“ გადაეცემა, რომლის კურსდამთავრებულიც არის ქეთევან სეფაშვილი. იგი რეგულარულად ეხმარება "ნიჭიერთა ათწლედს".

საქართველოს ელჩის, დავით დონდუას მოწვევით, ქართველი პიანისტის კონცერტს ასევე დაესწრნენ ვენაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ლონდონში ქართველი მწერლის, ნინო ხარატიშვილის წიგნის “მერვე სიცოცხლე“ (ბრილკასთვის) პრეზენტაცია გაიმართა

28 ნოემბერს, ლონდონის გოეთეს ინსტიტუტში გერმანიაში მოღვაწე ქართველი ნოველისტის, ნინო ხარატიშვილის წიგნის „მერვე სიცოცხლე“ (ბრილკასთვის) ინგლისური თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიება გახსნა კემბრიჯის ქართულმა ფოლკლორულმა გუნდმა „ჩელამ“ და მასში მონაწილეობა მიიღეს დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩმა, თამარ ბერუჩაშვილმა, წიგნის თარგმანის ავტორებმა, გერმანელმა მსახიობმა და რადიო ჟურნალისტმა, შარლოტა კოლინსმა და თარჯიმანმა, რუტ მარტინმა. ღონისძიებას უმასპინძლა ევროპული ლიტერატურის ასოციაციის (European Literature Network) დირექტორმა, როზი გოლდსმიტმა.

თამარ ბერუჩაშვილმა ხაზი გაუსვა ნინო ხარატიშვილის განსაკუთრებულ წარმატებებს საერთაშორისო მასშტაბით. ელჩმა აღნიშნა, რომ მწერლის მოღვაწეობა ხელს უწყობს ქართული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

ნინო ხარატიშვილი გერმანიაში მოღვაწე ქართველი ნოველისტი, დრამატურგი და თეატრის რეჟისორია. გერმანიაში მისმა წიგნმა „მერვე სიცოცხლე“ (ბრილკასთვის) მოიპოვა არაერთი ლიტერატურული გამარჯვება. ლონდონში ვიზიტის ფარგლებში ავტორის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ბრიტანეთის ბიბლიოთეკასა და პუშკინის სახლში.

ევროპული თეატრების კონვენციის გენერალურ ასამბლეა

29 ნოემბერს, საქართველოს ელჩი ნიდერლანდების სამეფოში გიორგი შარვაშიძე დაესწრო ევროპული თეატრების კონვენციის გენერალურ ასამბლეას, სადაც ხელი მოეწერა დოკუმენტს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის გაწევრიანებაზე. 28 ნოემბერს მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ამსტერდამში ვიზიტის ფარგლებში, გააფორმა მემორანდუმი ნიდერლანდების ,,ქართული კულტურის ცენტრთან, რომლის თანახმადაც, ნიდერლანდების სამეფოში „ქართული კულტურის ცენტრის“ დამფუძნებელს, თინათინ სვანიძე – ვენკოს, მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის სახელით, ნიდერლანდების გაერთიანებულ სამეფოსა და ბელგიის კულტურულ სივრცეში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების დონეზე, მოლაპარაკებების წარმოების უფლებამოსილების უფლება მიენიჭა.

ევროპული თეატრის კონვენცია დაარსდა 1988 წელს, სადაც გაწევრიანებულია 20-ზე მეტი ქვეყნიდან 40-მდე წევრი, რომელიც დღეის მდგომარეობით ითვლება ევროპაში ყველაზე დიდ გაერთიანებად. აღნიშნული გაწევრიანება ქართული თეატრისთვის ნიშნავს ევროპულ ასპარეზზე პირდაპირ გასვლას, კონვენციაში შემავალ თეატრებთან ურთიერთობას, საერთაშორისო ფესტივალებზე მიწვევასა და ევროპის თეატრალურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას.

ღონისძიების მსვლელობისას საქართველოს ელჩმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

პოლონელი პოეტის ქართულად ნათარგმნი ლექსების პრეზენტაცია

29 ნოემბერს, პოლონეთში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის "იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის 2019 წლის გამარჯვებულის პოლონეთის რესპუბლიკაში, თამარ ლორთქიფანიძის თანაორგანიზებით, საელჩოში გაიმართა პოლონელი პოეტის, ზბიგნიევ ჰერბერტის პოეზიის საღამო და მისი ლექსების ქართული თარგმანის პრეზენტაცია. პოლონურიდან ლექსები თარგმნა რუსუდან კიკალეიშვილმა.
ღონისძიება გახსნა საქართველოს ელჩმა, ილია დარჩიაშვილმა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ჰერბერტის სახელობის ფონდის თავმჯდომარე, მარია ჯიედუშიცკა და პოეტის დისშვილი, რაფალ ჟებროვსკი. პოეზიის საღამოს უძღვებოდა თამარ ლორთქიფანიძე.
პოლონეთში მცხოვრებმა თანამემამულემ, დავით გამცემლიძემ პოლონურ და ქართულ ენებზე ზბიგნიევ ჰერბერტის რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პოეტის ოჯახის წევრები, ზბიგნიევ ჰერბერტის სახელობის ფონდის, ეროვნული ბიბლიოთეკის და ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები.

შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ზეიმი „შოთაობა" ისრაელში

29 ნოემბერს, ისრაელის ქ. ხულონის „შოთას პარკში", საქართველოს საელჩომ, ისრაელში ქართულ დიასპორულ ორგანიზაციასთან - „მამული" და „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში" ერთად, შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ზეიმი „შოთაობა" გამართა.
ზეიმს დაესწრო ხულონის მერი მოტი სასონო, ისრაელში მცხოვრები ქართული დიასპორისა და ქართველ ებრაელთა თემის წარმომადგენლები, ასევე ქ. ხულონის ადგილობრივი მოსახლეობა. ზეიმი სიტყვით გახსნეს ხულონის მერმა და საქართველოს ელჩმა ლაშა ჟვანიამ.
დამსწრე საზოგადოებას „შოთაობა" მიულოცეს ქალაქ ხულონში შოთა რუსთაველის პარკის დამაარსებელმა (2014წ), მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, შალომ დავითმა (შალვა დავითაშვილი) და ისრაელელმა გამომცემლებმა იტაი ბახურმა და ხედვა როკახმა. ზეიმზე შესრულდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები და ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან" ქართულ და ებრაულ ენებზე. ზეიმის განმავლობაში, „შოთას პარკში" დიდი შოთას აფორიზმები და ქართული ხალხური სიმღერები ისმოდა.

საქველმოქმედო გამოფენა-ბაზრობა უკრაინაში

30 ნოემბერს, კიევის ოლიმპიური სტადიონის ადმინისტრაციის შენობაში, გაიმართა ყოველწლიური საქველმოქმედო გამოფენა-ბაზრობა. ტრადიციისამებრ, ბაზრობაში მონაწილეობდნენ უკრაინაში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც გამოფინეს თავისი ქვეყნების პროდუქცია. წარდგენილი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული თანხა მთლიანად გადაირიცხა ონკოლოგიურ დაავადებულ ბავშვთა მკურნალობისათვის.
საელჩოს თანამშრომლებთან ერთად წარმატებულ საქველმოქმედო საქმიანობაში დიდი წვლილი შეიტანა ქართული დიასპორის წარმომადგენელმა ლალი კილაძემ.
აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო უკრაინაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლებმა ელჩის, თეიმურაზ შარაშენიძის თაოსნობით. საქართველოს სალჩოს მიერ მოწყობილ სტენდზე წარდგენილი იყო ქართული წარმოების პროდუქცია: ღვინო, ყველი, ჩურჩხელა, ხაჭაპური, მინერალური წყალი, ხილის წვენები, ქართული ხილ-ფაფები, საწებლები და სხვა.

ტალინში ექიმ ვაჟ გაფრინდაშვილს სოლიდარობა გამოუცხადეს

30 ნოემბერს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები ქალაქის მთავარ, თავისუფლების მოედანზე შეიკრიბნენ, ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავება გააპროტესტეს და მას სოლიდარობა გამოუცხადეს. „მოგეხსენებათ, ექიმი გაფრინდაშვილი აქამდე რჩება ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ტყვეობაში, რაც კიდევ ერთხელ წარმოადგენს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ნათელ მაგალითს“,- განაცხადეს აქციის ორგანიზატორებმა.

აქციას, რომელიც ქართული სათვისტოს ორგანიზებით ჩატარდა, დაესწრო საქართველოს ელჩი ესტონეთში, არჩილ ყარაულაშვილი.

საერთაშორისო საქველმოქმედო საშობაო ბაზრობა ქ. ვილნიუსში

30 ნოემბერს, საქართველოს საელჩოს თანა-ორგანიზატორობით ქ. ვილნიუსში გაიმართა საერთაშორისო საქველმოქმედო საშობაო ბაზრობა.

აღნიშნულის ფარგლებში, საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული საახალწლო ნობათი, ქართული პროდუქცია, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელები.

ასევე საშობაო ბაზრობაზე მოსულ ქართული კუთხის სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს კულტურის, ისტორიის, ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და ტურიზმის პოტენციალის შესახებ.

ქართულ კუთხე მოინახულეს ლიეტუვის რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლემ დიანა ნაუსედიენემ, ვილნიუსში აკრედიტირებულმა დიპლომატებმა, ასევე სხვა საპატიო სტუმრებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ.ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან ღვაჩლიანმა მონაწილეობა მიიღო ქალაქის ცენტრში საახალწლო ნაძვის ხის განათების ცერემონიაში და შეკრებილ სტუმრებს დამდეგი შობა და ახალი წელი მიულოცა.

ვილნიუსის საშობაო ბაზრობაზე სარეალიზაციოდ წარმოდგენილი ქართული პროდუქციიდან შემოსული თანხა გადაეცა არასამთავრობო ორგანიზაციას - International Women Association of Vilnius, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უწევს დახმარებას. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო კომპანიების „ბორჯომის“, „დუგლაძის ღვინის კომპანიის“, „მეღვინეობა ხარებას“, ,,ნატახტარის“, „კულას“, „ქართული სუნელების“ პროდუქცია, ლიეტუვაში ქართული რესტორნების „Georgian House” და "ქართული პურის" კერძები, ასევე კაუნასში არსებული “ქართული ხელოვნებისა და სურნელის სახლის” პროდუქცია.

შეხვედრა ჰანოვერის ქართულ სათვისტომოში

26 ოქტომბერს, ქ. ჰანოვერში მოქმედი ქართული სათვისტომოს ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა ჰანოვერის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, რომლის მიზანს წარმოადგენდა ჰანოვერის ქართული ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა სათვისტომოს საქმიანობაში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სათვისტომოს სტრუქტურასა და მიზნებს.

მცირე ვორკშოპის ფარგლებში სათვისტომოს წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებთან ერთად განიხილეს ის იდეები და გამოწვევები, რომლებიც აქტუალურია ჰანოვერში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებისთვის.

შეხვედრის დასასრულს დიასპორის წარმომადგენლები შეთანხმდნენ მომავალი სისტემატიური აქტივობების ფორმატზე, დაიგეგმა რამდენიმე კონკრეტული პროექტის განხორციელება.

ნოემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორასთან ურთიერთობის

დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFA Geo

www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო